პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 172 (5462)
1975 წ.
30 აგვისტო,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1975

„ფეხბურთი მოტოციკლებით“

სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გამართული ტურნირის ორ ფინალურ მატჩში რსფსრ-ს ნაკრების სპორტსმენებმა 8 ბურთი გაიტანეს მეტოქეთა კარში, თვითონ კი მხოლოდ ორი გაუშვეს. ჩემპიონთა კოლექტივის წევრთა უმრავლესობას ყალმუხეთის ცნობილი გუნდის — ელისტის „ავტომობილისტის“ მოთამაშენი (საკავშირო პირველობებში ხუთგზის გამარჯვებულნი) შეადგენენ. ფინალში მათ ორჯერ მოუგეს უკრაინის ნაკრებს. III ადგილზეა მოსკოვის გუნდი, რომელმაც დაამარცხა აზერბაიჯანის კოლექტივი — 2:0.

მოტობურთი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამხედრო-ტექნიკური სახეობაა. „მოტოციკლებზე ამხედრებული ფეხბურთელების“ შეჯიბრება საბჭოთა ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ტარდება. პირველი მატჩი მოტობურთში საბჭოთა კავშირში 1937 წელს მოეწყო, ხოლო 1965 წლიდან საკავშირო ჩემპიონატებიც ტარდება. ამ შეჯიბრებაში ყველაზე მეტი წარმატებით გამოდიოდნენ ქალაქ ელისტის წარმომადგენლები. ოქროს ჯილდოები ოთხჯერ მოიპოვეს ჩერკესკის „დომბაის“ მოტობურთელებმა. მოტობურთში მატჩი 80 წუთს გრძელდება (ოთხი 20-წუთიანი პერიოდი). მთელი ამ ხნის განმავლობაში ხუთ-ხუთი მოთამაშე სწრაფად დაქროლებს მოტოციკლს და ცდილობს ბურთი შეაგდოს მეტოქეთა კარში.

მაღალია საბჭოთა მოტობურთელთა საერთაშორისო კლასიც. ევროპის თასის რვაჯერ გათამაშებიდან ოთხი სწორედ მათ მოიგეს. ამ სეზონში საბჭოთა მოტობურთელებმა უნდა დაიცვან კონტინენტზე უძლიერესთა წოდება. ეს შეჯიბრება საფრანგეთში ჩატარდება სექტემბრის ბოლოს. (საკდესი).

დაჯდომის „სნაიპერები“

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის თვითმფრინავმშენებლობის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ლიუდმილა გასიუკი და ასტრახანის ავიასპორტული კლუბის ინსტრუქტორი ვიქტორ ლეცკო სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის პირველი „დიდოსტატები“ არიან სათვითმფრინავო სპორტში. ასპარეზობის პროგრამაში შემავალ სამ ვარჯიშში გასიუკმა 2907,5 ქულა დააგროვა, ხოლო ლეცკომ — 2998. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა რსფსრ-ს ნაკრებმა — 8900,5 ქულა. II ადგილზეა ლიტვის გუნდი — 8841, III — მოსკოველთა კოლექტივი — 8579.

მრავალჭიდში ოქროს მედლების ბედს ბოლო ორი აფრენა და ორი დაჯდომა წყვეტდა. მიწაზე დაშვების დროს მანქანის ბორბლები ზუსტად „რგოლში“ — სიგანით 30 და სიგრძით 20-მეტრიან სექტორში უნდა მოხვედრილიყო. უზუსტობისთვის დაწესებული იყო „ჯარიმა“ — 30 ქულა.

ლეცკოს შესახებ შემთხვევით როდი ამბობენ, ნამდვილი სპორტული ხასიათი აქვს, რაც უფრო მძიმეა სატურნირო მდგომარეობა, მით უფრო უკეთ გამოდის იგი. და აი, ბოლო დღეს ლეცკო ორივეჯერ სექტორში დაეშვა და ქულათა საუკეთესო ჯამი დააგროვა.

ქალებში აბსოლუტური ჩემპიონობისთვის ბრძოლა გააჩაღეს ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის აღზრდილებმა გასიუკმა და ლ. კომაროვამ. გასიუკი მეტოქეზე ოდნავ ზუსტი აღმოჩნდა დაშვების დროს. შედეგად მან არა მარტო I ადგილი დაიკავა, არამედ სპორტის ოსტატის წოდებაც მოიპოვა, შეჯიბრების დაწყებამდე კი პირველთანრიგოსანი იყო. ქალთა შორის დაშვებაში „სნაიპერი“ აღმოჩნდა ესენტუკელი გ. ლუკიანოვა, რომელიც ვარჯიშში გამარჯვებისთვის მცირე ოქროს მედალს მიიღებს.

ამ შეჯიბრებით დაამთავრეს სეზონი მფრინავმა სპორტსმენებმა. ახლა დიდი სამუშაო იწყება ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებისთვის: ერთი წლის შემდეგ კიევში მოეწყობა მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში.

— სპორტსმენთა ოსტატობა იმდენად ამაღლდა, რომ უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების შესრულების დროს ქულებში განსხვავება სრულიად უმნიშვნელო იყო, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კ. ნაემუდინოვმა. — ახლა ქვეყნის ნაკრებისთვის ბევრი კანდიდატი გვყავს. მათგან სახელდობრ ვინ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატში, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. მოუთმენლად ველით ახალ მანქანას „იაკების“ ოჯახიდან — „იაკ“-50-ს. ამ მანქანით ვაპირებთ გამოსვლას კიევში. ჩვენი ვარაუდით, ნაკრებში ის მოხვდება, ვინც უკეთ აითვისებს ახალ თვითმფრინავს.

ვ. კუკუშკინი.
(საკდესის სპეც. კორ.).

კიმრი.

დეპეშები მთიდან

ტრავერსის შემდეგ

საბჭოთა კავშირის პირველობის მონაწილე საქართველოს მოსიმაღლე მთამსვლელებმა წარმატებით დაამთავრეს ასვლა მოსკოვის პიკზე და მოსკოვ — აბანინის ტრავერსი.

ახლა ყველა მონაწილე საბაზო ბანაკში 5 000 მეტრ სიმაღლეზეა.

თ. ვაშაძე.
ექსპედიციის უფროსის მოადგილე.

დასავლეთი კედლით

სპორტულმა ჯგუფმა ტ. ლუკაშვილის, დ. შარაშენიძის, დ. ბაქანიძის, გ. ზუმბაძის შემადგენლობით (ჯგუფის ხელმძღვანელი გ. ქართველიშვილი) წარმატებით განახორციელა ასვლა ბოდხონის პიკზე მეექვსე კატეგორიის სირთულის დასავლეთი კედლით.

გ. ქართველიშვილი.

მამაცთა რეისი

იაპონიის ნავსადგურ იოკოჰამაში დედამიწის ირგვლივ ცურვის შემდეგ დაბრუნდა ნავი „სორატობუ ახირუ“ („მფრინავი იხვი“). 1973 წლის 8 ნოემბერს ნავის სამკაციანმა ეკიპაჟმა ხუთ თვეს ინტენსიური მზადების შემდეგ კურსი ღია ზღვაში აიღო.

მოგზაურობა 660 დღეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში იახტამ, რომლის წყალწყვაც ათ ტონას აღწევს, გადალახა სამი ოკეანე და ოც ქვეყანას ესტუმრა.

[illegible]

თბილისელი ჭაბუკის ოქროს მედალი

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ხარკოვის კორდოდრომზე დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური შეჯიბრება ავტოსამოდელო სპორტში.

საუცხოო შედეგს მიაღწია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა დ. ჩხაიძემ. მან ოქროს მედალი მოიპოვა რადიოსამართავი მოდელების კლასში.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რუსეთის ფედერაციის ავტომოდელისტებმა, რომლებმაც 1394 ქულა დააგროვეს. II საპრიზო ადგილზე გავიდა უკრაინის ნაკრები (988 ქულა), ხოლო III — აზერბაიჯანის კოლექტივი (688).

[illegible]-75

● შტუტგარტი, 27 აგვისტო. გფრ-ის ამ ქალაქში საერთაშორისო შეჯიბრების სარბიელზე საინტერესო „დუელი“ გაიმართა დასავლეთ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის უროს მტყორცნელთა შორის. ყველას აჯობა საბჭოთა მძლეოსანმა დმიტრენკომ, რომელმაც 77,58 მეტრზე ტყორცნა ურო. II ადგილზეც სსრ კავშირის წარმომადგენელია — სპირიდონოვი — 76,84 მ. მსოფლიო რეკორდსმენი რიმი (გფრ) III ადგილზე გავიდა — 75,52 მ. ნაჩვენებია სხვა მაღალი შედეგებიც. სტოუნზმა (აშშ) 227 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა, ხოლო მისმა თანამემამულე უილიამსმა საუცხოო შედეგს მიაღწია სპრინტში: 100 მ — 10,10 წამი, 200 მ — 20,16.

● ლენინგრადი, 28 აგვისტო. 30 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე აქ გაიმართება საერთაშორისო ტურნირი რეგბიში გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. საბჭოთა კავშირიდან ორი ნაკრები ითამაშებს. პირველ ნაკრებში საქართველოდან შევიდნენ ზ. ხარშილაძე („ლოკომოტივი“, თბილისი) და ი. აბაშიძე („ივერია“, თბილისი), ხოლო მეორე ნაკრებში — გ. ურუშაძე, ზ. რეხვიაშვილი (ორივე — „ივერია“, თბილისი), ვ. კილასონია, მ. ჭვარიძე და ა. გიორგაძე (ყველა — „ლოკომოტივი“, თბილისი).

● რიგა, 28 აგვისტო. სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, ადგილობრივმა სპორტსმენმა ა. კუზმინმა ხუთ ფიგურულ სამიზნეზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში ლატვიის რეკორდი მსოფლიო რეკორდს გაუთანაბრა: რესპუბლიკის პირველობაში ასპარეზობისას 598 ქულა დააგროვა 600-დან.

[illegible]-75

[illegible]

[illegible]

მოსკოვის სპორტკლუბ „მალახიტის“ წევრი 25 ჭაბუკი და ქალიშვილი მთელ ზაფხულს სტროგინსკის წყალსაცავის ლამაზ სანაპიროზე კარვებში ატარებს. მათი მწვრთნელებისა და აღმზრდელების როლს საზოგადოებრივ საწყისებზე ასრულებენ მშობლები — კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტის თანამშრომლები.

მარცხენა სურათზე: გუბარენკოების ოჯახი ცისფერ სარბიელზე.

* * *

სულ უფრო პოპულარული ხდება სპორტის ახალი სახეობა „ვინდსერფინგი“. დაფაზე დამაგრებულია აფრა, რომელსაც დაფაზე მდგარი ადამიანი მართავს. რაც უფრო ძლიერია ქარი, მით უფრო მეტია სისწრაფე, მით უფრო დიდი ოსტატობაა საჭირო.

მარჯვენა სურათზე: გორკელები ი. ჟუროვა და ს. უსოლცევი საწვრთნელ მეცადინეობაზე.

საკდესის ფოტოები.



ყოველ მოსწავლეს — მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანი


ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

[illegible]

— ახალი სასწავლო წელი ბევრ ცვლილებას შეიტანს სასკოლო ფიზკულტურაში, — უთხრა საკდესის კორესპონდენტ ა. ლევინსონს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის განყოფილების უფროსმა ვ. ბოგოსლოვსკიმ. — ახლა მასწავლებლებმა მეცადინეობათა პროგრამა მშდ კომპლექსს უნდა დაუკავშირონ. გვინდა, რომ ყოველმა კურსდამთავრებულმა სიმწიფის ატესტატთან ერთად მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანიც მიიღოს.

მომავალ სასწავლო წელს სასკოლო ფიზკულტურის პროგრამას ემატება ორი სახეობა — კლასიკური ჭიდაობა და მხატვრული ტანვარჯიში. პირველი ავითარებს ძალას და ვაჟკაცობას, მეორე — გრაციას, მოხდენილობას, ალნაგობას.

სასწავლო პროგრამით სასკოლო ფიზკულტურას კვირაში სულ ორი საათი ეთმობა. ამიტომ მასწავლებლები ვალდებული იქნებიან მეტი ყურადღება დაუთმონ კლასგარეშე მუშაობას, ჩააბან ამ მუშაობაში უფროსკლასელები, რომლებიც სპორტულ სკოლებში მეცადინეობენ და თანრიგიც აქვთ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში. საბჭოთა კავშირში მილიონზე მეტი ასეთი საზოგადოებრივი მწვრთნელი გვყავს და, თუმცა უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, მათს დაუხმარებლად მუშაობა მაინც გაგვიჭირდებოდა. მასწავლებლებსა და ბავშვებს დიდ დახმარებას გაუწევს თვალსაჩინოება და ფილმები სპორტის ამა თუ იმ სახეობის ტექნიკის შესახებ.

წლეულს იწყება საკავშირო კონკურსი სკოლებში სპორტული ბაზების განმტკიცებისთვის, რომელიც მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს ეძღვნება. ამ უჩვეულო შეჯიბრების შედეგები 1980 წლის იანვრისთვის შეჯამდება.

საბჭოთა კავშირში, როგორც ცნობილია, დიდი ყურადღება ექცევა მშენებლობას საკუთარი ძალებით. მაგალითად, ლვოვში 22 ახალი სასკოლო სპორტული ბაზიდან 19 თავად ბავშვებმა ააგეს, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ეხმარებოდნენ შეფებიც (საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები).

კონკურსის შედეგების შეჯამებისას, რომელიც ქვეყნის 200 საუკეთესო სკოლას დაასახელებს, გათვალისწინებული იქნება ახალი ბაზებიც, ძველი ბაზების რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობაც, საშეფო ორგანიზაციების აქტივობაც, კლასგარეშე მუშაობაც.

გამარჯვებულები მიიღებენ ჯილდოებს — სპორტული ინვენტარის კომპლექტებს, სიგელებს, ვიმპელებს, მედლებს.

ახალ სასწავლო წელს მოსწავლეები მოემზადებიან თავიანთი ტრადიციული საკავშირო სპარტაკიადისთვის. მოეწყობა შეჯიბრებები კლასებში, სკოლებში, რაიონებსა და ქალაქებში. სპარტაკიადის ფინალები ლვოვში ჩატარდება 1976 წლის ივლისში.

ფიქრები ქუთაისის კრივის დარბაზში

შეიძლება მკითხველმა გაიოცოს: ქუთაისში კრივის დარბაზიო? ამ გაოცებას ობიექტური მიზეზი აქვს: წლების მანძილზე ქუთაისელი მოკრივეები, მწვრთნელები თუ სპორტის მოყვარულები მწვავედ განიცდიდნენ კრივისთვის საჭირო სარბიელის უქონლობას.

და აი, ასრულდა მათი დიდი ხნის ოცნება. ქალაქის ცენტრალური დარბაზი, რომელიც დიდხანს კალათბურთელებისთვის იყო განკუთვნილი, კრივის სარბიელად გადაკეთდა. უმადურობა იქნებოდა ორიოდე სიტყვით არ აღგვენიშნა ამ დარბაზის როლი საბჭოთა კალათბურთის განვითარებაში. სწორედ ამ დარბაზში აღიზარდნენ საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონები, რომლებმაც წლების მანძილზე პირნათლად დაიცვეს საბჭოთა სპორტის ღირსება მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე. სასურველი იყო ამ დარბაზისთვის მემორიალური დაფა გაეკეთებინათ. ამით მომავალ თაობებს ნათელი წარმოდგენა შეექმნებოდა იმ სახელოვან ათლეტთა შესახებ, რომელთაც სპორტში პირველი ნაბიჯები ქუთაისში გადადგეს.

ქების ღირსია საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს ქუთაისის მეორე უბანი (უფროსი ო. ნემსაძე) სამუშაოთა დროულად და ხარისხიანად შესრულებისთვის.

კრივის მთავარ დარბაზს, რომელიც განკუთვნილია 400 კაცისთვის, ამშვენებს რინგის კვადრატი და დამხმარე პატარა სავარჯიშო დარბაზი. ერთი სიტყვით, ახალ დარბაზს ფრიად საპატიო მისია აკისრია: ხელი შეუწყოს ქართული კრივის, სპორტის ამ რაინდული და ვაჟკაცური სახეობის აღორძინებას ჩვენს ქალაქში.

...ახალ დარბაზში ჩატარდა სპორტულ საზოგადოებათა რესპუბლიკური პირველობა იუნიორებს შორის. რინგზე გამოვიდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქის უძლიერესი მოკრივეები.

შეჯიბრების წინ ვესაუბრეთ რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს, ქუთაისში კრივის დიდ მოამაგეს და ცნობილ ენთუზიასტს ვ. მარქაროვს. ქალაქის მოკრივეთა თავკაცი აღფრთოვანებასა და სიხარულს ვერ მალავდა. მე კარგად მესმოდა მისი. ვ. მარქაროვმა ხომ თითქმის საუკუნის მესამედი შესწირა კრივის განვითარებას ჩვენს ქალაქში!

— ახლა კი საჭირო და აუცილებელია, — თქვა მან, — ქუთაისში გაიხსნას კრივის სპეციალიზებული სკოლა. სწორედ ქუთაისია ერთ-ერთი მთავარი ბაზა, რომელიც თბილისთან ერთად ხელს შეუწყობს ეროვნული კრივის აღორძინებასა და განვითარებას.

ქუთაისელები სამი დღის მანძილზე დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ახალგაზრდა მოკრივეთა ბრძოლებს. სამი დღის მანძილზე დარბაზში გაისმოდა მაყურებელთა შეძახილები. ვუყურებდი მათ და ვფიქრობდი, რომ ქუთაისელებს კრივის სიყვარული არ განელებიათ. უნდა გენახათ, რა ტაშით ხვდებოდნენ ყოველ ლამაზ ბრძოლას, ოსტატურ დარტყმას, დახვეწილ ტექნიკურ ილეთს. ნუ დაგვავიწყდება, რომ რიონისპირა ქალაქის მცხოვრებნი წლების მანძილზე განებივრებული იყვნენ მოკრივეთა მაღალი რანგის ტურნირებით. რესპუბლიკური პირველობა თუ საქალაქთაშორისო მატჩები, საკავშირო ტურნირები თუ საერთაშორისო შეხვედრები ხალხმრავალი აუდიტორიების წინაშე იმართებოდა. ამდენად, ქუთაისელთა გემოვნება და მოთხოვნები წლიდან წლამდე იხვეწებოდა, იზრდებოდა. გავიხსენოთ ცოტა უფრო უწინდელი დრო, 50-ანი წლები. მაშინ ქუთაისელი მოკრივეები რესპუბლიკის ფარგლებში წარმატებით ასპარეზობდნენ და ის-ის იყო ფეხს იდგამდნენ საკავშირო სარბიელზე.

თ. გუჯაბიძე გახლდათ ის პირველი მერცხალი, რომელმაც 1949 წელს მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედალი დაიმსახურა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქუთაისელი ჭაბუკის პირველი ნაბიჯები საკავშირო რინგზე ფეხბედნიერი გამოდგა რიონისპირა ქალაქის სპორტსმენებისთვის. იმავე წლის ოქტომბერში „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობაში გუჯაბიძემ კვლავ ყველას აჯობა.

ამავე ტურნირის აღმოჩენა იყო ნ. თორთლაძე, რომელმაც საპრიზო ადგილი დაიკავა. სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საძირკველი კრივის ეგრეთ წოდებულ ქუთაისურ სკოლას, რომლის ღირსეულმა წარმომადგენლებმა გუჯაბიძემ, თორთლაძემ, ნ. ეგოროვმა, გ. ტიკარაძემ, ვ. სმირნოვმა და სხვებმა ფართო აღიარება მოიპოვეს.

შემდეგ? მოკრივეთა ამ სახელოვან თაობას მხარში ამოუდგა საბჭოთა რინგის ამომავალი ვარსკვლავი ფ. ლომიძე. მაშინდელი რესპუბლიკური და საკავშირო პრესა ბევრს წერდა ქუთაისელი ჭაბუკის ბრწყინვალე ნიჭსა და უნარზე. სამწუხაროდ, მან მთლიანად ვერ შეძლო თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. მართლაც რომ მეტეორის გაელვებას ჰგავდა ლომიძის გამოსვლები რინგის კვადრატზე.

ქუთაისელ მოკრივეთა ახალმა ცვლამ: ა. გუბაევმა, ზ. ლომიძემ, ლ. ჩოგოვაძემ, თ. კურცხალიამ, კ. ვახტანგაძემ, ი. გორდაძემ, კ. გიორგაძემ, ჯ. გოგისვანიძემ და ბევრმა სხვამ თავისი სიტყვა თქვეს სპორტის ამ სახეობის განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

60-ანი წლებიდან საყოველთაოდ ცნობილია ქუთაისის მოკრივეთა გამარჯვებები რესპუბლიკურ თუ საკავშირო სარბიელზე. თვით თბილისის ძლიერი გუნდიც კი არაერთხელ დაუმარცხებიათ ქუთაისელ ჭაბუკებს. ისინი წარმატებით გამოდიოდნენ საერთაშორისო სარბიელზეც. ჯ. კვანტალიანი, ზ. მაჭავარიანი, მ. სვანიძე, მ. აბულაძე, რ. რატიანი, ვ. სულაკაძე, ა. ნიკოლაძე, თ. შალიკიანი, რ. თოფურია — აი, არასრული სია ტყავის ხელთათმნის ცნობილი ოსტატებისა, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებით იცავდნენ ქართული კრივის სახელს.

...მოკრივეთა ტურნირი გრძელდება, მაყურებლები შეძახილებით ამხნევებენ სპორტსმენებს. ვათვალიერებთ დარბაზს, ირგვლივ ნაცნობ სახეებს ვხედავთ... მათ შორის ბევრი ძველი მოკრივეა. დღეს ისინი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე მოღვაწეობენ, მაგრამ კრივის სიყვარული დღესაც არ განელებიათ.

იუნიორთა აღნიშნულ ტურნირზე დამსწრე ვეტერან სპორტსმენთა შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო კრივის პიონერმა და დიდმა ენთუზიასტმა, სამამულო ომის მონაწილემ ვ. მიქაძემ. 40-ან წლებში ცნობილი სპორტსმენი ვ. მიქაძე ამჟამად ხელმძღვანელობს ქალაქის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურულ კოლექტივს, რომელიც სპორტული მიღწევებით მოწინავეა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მაყურებელთა შორის შევამჩნევდით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ა. ყანჩელს, ერთ დროს ქუთაისელთა საყვარელ მოკრივეს, რომელიც დღეს ქალაქის ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს განაგებს.

ქუთაისელებს კარგად ახსოვთ პოპულარული მოკრივის გ. მიზანდარის გამოსვლები რინგის კვადრატზე. შემდეგში ცნობილმა მოქანდაკემ, თბილისის სამხატვრო აკადემიის დეკანმა გ. მიზანდარმა თავისი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში.

...ჭაბუკთა ტურნირს ჩვენთან ერთად ესწრებოდა ვეტერანი მოკრივე, რესპუბლიკის ჩემპიონი 1955-56 წლებში ა. გორგაძე, ამჟამად ცნობილი ექიმი.

რესპუბლიკის სპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საკავშირო ტურნირების პრიზიორი ა. ცანავა, შემდეგში შესანიშნავი მწვრთნელი და ექიმი.

ქართული კრივის თვალსაჩინო წარმომადგენლის ნ. თორთლაძის გამოსვლები რინგის კვადრატზე დღესაც კარგად ახსოვთ სპორტის გულშემატკივრებს. დღეს ვალმოხდილი სპორტსმენი ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფიზკულტურის კათედრაზე მუშაობს და სტუდენტთა წრთობის საქმეს ემსახურება.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრეს ტყავის ხელთათმნის ცნობილმა ოსტატებმა ჯ. კვანტალიანმა და ზ. მაჭავარიანმა. წლების მანძილზე საბჭოთა ნაკრების წევრობის კანდიდატები, ბევრი საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირის ლაურეატები დღეს სხვადასხვა უბანზე მოღვაწეობენ: კვანტალიანი „დინამოს“ მოკრივეთა გუნდებს ავარჯიშებს, ხოლო მაჭავარიანი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტი დაამთავრა ცნობილმა მძიმეწონოსანმა, სპორტის ოსტატმა ა. ნიკოლაძემ, რომელიც ამჟამად მშობლიურ ქალაქში ნორჩი მოკრივეების აღზრდას ემსახურება და პარალელურად მაღალი რანგის ტურნირებშიც მონაწილეობს.

ამავე ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა სპორტის ოსტატმა მ. სვანიძემ.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია სპორტის ოსტატი თ. შალიკიანი. რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონმა, ბევრ სხვადასხვა ტურნირში გამარჯვებულმა რ. რატიანმა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა მშობლიურ ქუთაისში მუშაობს მწვრთნელად.

საბედნიეროდ, ასეთი სასახელო მოკრივეები მრავლად არიან ჩვენს ქალაქში.

...რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებათა იუნიორთა მორიგი ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდა. მწვრთნელები, სპეციალისტები და თვით ასპარეზობის მონაწილენი ალბათ სათანადო დასკვნებს გამოიტანენ ტურნირის შედეგებიდან. დაუფარავად უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჭაბუკები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან საკავშირო მოთხოვნათა დონეს. დიახ, იუნიორთა საკავშირო ტურნირში ასეთი შედეგებით ფონს ვერ გავალთ. მაგრამ თუ საქმეს ოპტიმისტური თვალით შევხედავთ, მდგომარეობის გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება, რაც მთავარია, არის საიმედო პერსპექტიული ახალგაზრდობა, რომელთანაც საჭიროა მონდომებული, თავდაუზოგავი, სისტემატური მუშაობა.

ქუთაისში ჩვენ ვესაუბრეთ წარსულში სახელოვან სპორტსმენს გ. დარბაისელს. მან გვითხრა:

— ქუთაისი კრივში მუდამ იყო რესპუბლიკის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი ბაზა და მჯერა, რომ ეს ტრადიცია კვლავ აღსდგება. ქალაქს ამისთვის ყოველგვარი პირობები აქვს.

ჩვენ ვეთანხმებით ვეტერან სპორტსმენს. ახლა, როცა ქუთაისში არსებობს ამ სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობები, გვყავს მთელი პლეადა შესანიშნავი მწვრთნელებისა და არის პერსპექტიული, იმედისმომცემი ახალგაზრდობა, საჭიროა მეთოდური, დაუღალავი შრომა, დროის მაქსიმალური გამოყენება, რათა რიონისპირა ქალაქმა კვლავ თავისი სიტყვა თქვას საბჭოთა კრივის განვითარებაში. ამას მოითხოვს ქართული სპორტის ხვალინდელი დღე.

ზ. ჯავახაძე,
ქუთაისის სპორტული მუზეუმის დირექტორი.

ქალის საერთაშორისო წელი

ნაბიჯები დიდ სპორტში

1975 წელი ქალის საერთაშორისო წელია. ეს თითქოს კიდევ ერთხელ გვახსენებს ქალის—საზოგადოების ღირსეული წევრის, მშრომელის, დედის, საზოგადო მოღვაწის უდიდეს როლს. საბჭოთა კავშირისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების ქალები მსოფლიოს მოწინავე ქალთა საზოგადოების ავანგარდში დგანან. მათს შორის სამართლიანად უკავიათ ერთ-ერთი საპატიო ადგილი სპორტსმენებს, რომელთაც უკვე ბევრჯერ უსახელებიათ თავიანთი ქვეყანა საერთაშორისო სარბიელზე, რომლებიც ახლა ემზადებიან მომავალ დიდ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. დღეს ამ დიდი რაზმის ორ წევრს გაგაცნობთ.

ზედა სურათზე აღბეჭდილია მოსკოველი სტუდენტი რ. იზმაილოვა, რომელმაც შარშან და წლეულს ყველას აჯობა გაზეთ „პრავდას“ საკავშირო კროსში 18-19 წლის ქალიშვილებს შორის. ქვედა სურათზე თქვენ ხედავთ ბულგარელ სპორტსმენს ი. პეევას. სსრ კავშირისა და ამერიკის მძლეოსანთა ტრადიციულ მატჩში წლეულს პირველად მონაწილეობდა ბულგარეთის ქალთა გუნდი. პეევა ამ გუნდში გამოდიოდა.

საკდესის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა I ზონა

28 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„დილა" (გორი) — „ნეფტიანიკი" (ფერგანა) 2:0

მატჩი დაიწყო მაღალი ტემპით, სწრაფად, და ტერიტორიული უპირატესობა მაშინვე მასპინძელთა მხარეს აღმოჩნდა. „ნეფტიანიკის" მეკარე ივანოვს პირველივე წუთებიდან დიდი დატვირთვა დააწვა. საკმარისია ითქვას, რომ 30 წუთის მანძილზე „დილის" მეკარე ბერიძეს არც ერთხელ არ დასჭირვებია თამაშში ჩაბმა, მისი ფერგანელი კოლეგა კი იძულებული იყო რამდენიმე ძნელი ბურთი აეღო.

მიუხედავად ასეთი უპირატესობისა, „დილის" თავდამსხმელებმა კარგა ხანს ვერ შეძლეს მეტოქის გაძლიერებული დაცვის დაძლევა. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ 42-ე წუთზე, ხანიშვილ — ბურჯანაძის კომბინაციის შედეგად.

„ნეფტიანიკმა" შესვენების შემდეგ ცოტა ხნით გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტატუნაშვილმა შორიდან მეორე ბურთი მოათავსა სტუმრების კარში, ნათელი შეიქნა, რომ „დილა" 2 ქულას მიუმატებდა თავის აქტივს. ასეც მოხდა.

ი. თევდორაშვილი.

„მეტალურგი" (რუსთავი) — „ფახთაჩი" (გულისტანი) 4:2

რუსთაველმა ფეხბურთელებმა ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვეს და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს მდგომარეობა სატურნირო ცხრილში.

ანგარიში უკვე მე-12 წუთზე გაიხსნა მაისურაძის ზუსტი დარტყმის შემდეგ. მალე გოლის გატანის შესაძლებლობა მიეცათ აშაძეს, გოგუაძეს და სხვებს, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები გამოუყენებელი დარჩა. სამაგიეროდ, 25-ე წუთზე რემესნოვის დარტყმამ მიზანს მიაღწია და ანგარიშიც გათანაბრდა.

55-ე წუთზე აშაძემ კარგად გამოიყენა მეტოქის კართან შექმნილი სახიფათო ვითარება, 10 წუთის მერე კი ავერინმა კიდევ ერთხელ აიძულა „ფახთაჩი" ცენტრიდან დაეწყო თამაში.

„მეტალურგის" გამარჯვება თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ როცა კერბესის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი მასპინძელთა ბადეში აღმოჩნდა, გულისტანელებმა გააძლიერეს შეტევები და მატჩის საბოლოო შედეგიც სათუო გახდა. ამ დაძაბულ სიტუაციაში სტუმრების მცველმა სარქისიანმა უზუსტოდ ითამაშა და საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. დარჩენილ დროში სტუმრებმა ვეღარაფერი შეძლეს და 2 ქულა რუსთაველებს ხვდათ.

რ. გაბრიჩიძე.

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „გურია" (ლანჩხუთი) — „ჯიზაკი" (ჯიზაკი) 2:1, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „დინამო" (ზუგდიდი) 7:0, „იანგიერი" (იანგიერი) — „დინამო" (ბათუმი) 2:1, „ხაზარი" (სუმგაითი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 2:1, „პროგრესი" (კიროვაბადი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 3:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იანგიერი"	25	14	6	5	47-22	34
„სტროიტ."	25	13	4	8	52-21	30
„გურია"	25	13	4	8	51-35	30
„დილა"	25	12	4	9	36-30	28
„ხანკი"	24	10	8	6	34-31	28
„მეტალურგი"	25	11	6	8	32-34	28
„პროგრესი"	23	11	3	9	43-33	25
„შირაკი"	23	10	3	10	33-35	23
„ლოკომოტ."	23	9	5	9	31-34	23
„ნეფტიან."	23	9	4	10	28-33	22
„ჯიზაკი"	23	10	2	11	25-35	22
„ხაზარი"	23	8	5	10	34-36	21
„დინამო" ბ.	23	7	5	11	26-27	19
ფიზკ. ინსტ.	23	7	5	11	14-26	19
„ფახთაჩი"	23	7	5	11	24-40	19
„ავტომობ".	23	8	2	13	32-38	18
„დინამო" ზ.	23	7	4	12	29-42	18
„მერცხალი"	22	6	5	11	17-36	17

კაპიტონოვის კვარტეტი

მეტე, 28 აგვისტო. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა საკმაოდ ბევრი იფიქრა, სანამ ოთხ ველოსიპედისტს შეარჩევდა. მწვრთნელი — ვიქტორ კაპიტონოვი გამოცდილი ველოსიპედისტია, 1960 წელს იგი ოლიმპიური ჩემპიონიც კი იყო და, ცხადია, არ გამოჰპარვია სპორტსმენთა ძლიერი და სუსტი მხარეები.

მსოფლიო ჩემპიონატში მწვრთნელმა ყველაფერს უნდა გაუწიოს ანგარიში: ველოსიპედისტთა ფორმასაც, ხასიათს, მათს ინდივიდუალურ ღირსებებსაც და, რაც მთავარია, ამ ღირსებების კოლექტივის ინტერესებისთვის დამორჩილების უნარსაც. აი, სწორედ ამიტომ იყო ასეთი „ჭრელი" საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა გუნდური რბოლის წინ. გ. კომნატოვი ომსკიდანაა, ვ. ჩაპლიგინი — კურსკიდან, ვ. კამინსკი — მინსკიდან, ხოლო ა. პიკუუსი — ტარტუდან. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვარტეტის წევრებს ერთმანეთისგან ათასობით კილომეტრი ჰყოფს, კაპიტონოვმა უდავოდ გუნდის კარგი მოდელი შექმნა.

...25 კილომეტრის შემდეგ საბჭოთა კვარტეტის დრო საუკეთესო იყო — 36.21. მას ლიდერობა არც 50 კილომეტრის შემდეგ გაუშვია ხელიდან — 1:05.30. შეუმჩნეველი შეფერხება მოხდა დისტანციის მესამე მეოთხედზე. წინ პოლონელები გავიდნენ. საბჭოთა ოთხეული მას 2 წამით ჩამორჩა.

მაგრამ წინ იყო ბოლო მეოთხედი, ბოლო 25 კილომეტრი, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა მთავარ შეკითხვაზე: ვინ გახდებოდა ბოლოს და ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ რბოლაში.

...პოლონელებს ჩამორჩა მიტნიკი. მან ჯერ მაქსიმუმამდე გაზარდა რბოლის ტემპი, მოიხადა ვალი გუნდის წინაშე და დასცილდა ლიდერებს. ასევე მოიქცა პიკუუსიც. მერე მანქანა დაუზიანდა შოზდას (პოლონეთი), ძარღვი გაეჭკვნა კამინსკის.

ძალები ერთხელ კიდევ გათანაბრდა, მაგრამ ფინიში უკვე სულ ახლოს იყო. პოლონელებმა უფრო ადრე გადაკვეთეს საკონტროლო ხაზი და, ცხადია, ოქროს მედლებიც მოიპოვეს. საბჭოთა კვარტეტი ზედიზედ მეორე წელია ვერცხლის მედლებს იღებს.

მაგრამ კაპიტონოვის კვარტეტს სპეციალისტები მომავლის კვარტეტს უწოდებენ. ეს მომავალი კი ახლოა, ყურის ძირში. მონრეალის ოლიმპიადაში გაირკვევა, რამდენად სწორი იყო კაპიტონოვის არჩევანი.

ტექნიკური შედეგები

გუნდური საგზატკეცილო რბოლა 99,6 კილომეტრზე.

1. პოლონეთი (ტ. მიტნიკი, მ. ნოვიცკი, რ. შურკოვსკი, ს. შოზდა) — 2:09.07,1. 2. სსრ კავშირი (გ. კომნატოვი, ვ. ჩაპლიგინი, ა. პიკუუსი, ვ. კამინსკი) — 2:09.12,6. 3. ჩეხოსლოვაკია (პ. მატოუშეკი, ვ მორავეცი, ვ. ვონდრაჩეკი, პ. ბუხაჩეკი) — 2:10.46,6.

„ავაზა" იწვევს

რესპუბლიკური სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა „ავაზა" (დირექტორი — სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. მესხი) იწვევს ნორჩ ფეხბურთელებს სკოლაში ჩასარიცხავად.

მსურველთა გასინჯვა — 2 სექტემბრიდან 12 სექტემბრამდე ყოველდღე 9-დან 12 საათამდე, შემდეგ — 15-დან 18 საათამდე.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბაზა, ჰყავს კვალიფიციური მწვრთნელები. მიიღებიან 1962-1967 წლებში დაბადებული ბავშვები.

სკოლის ტელეფონის ნომერია 51-55-11.

მანევრები არხზე

ნოტინგემი, 28 აგვისტო. (საკდესი). აქ აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით გამართულ პირველ რბოლებს ტაქტიკური მანევრების ხასიათი ჰქონდა. სისწრაფე შეჯიბრების რანგს შეესაბამებოდა მხოლოდ რამდენიმე სერიაში, სადაც გამარჯვებულებს მაშინვე ეძლეოდათ ფინალის საგზურები. ერთერთ ასეთ სერიაში საბჭოთა კავშირის რვაადგილიანმა (მომსმელი კონოვი) დაამარცხა ავსტრალიის, გდრ-ისა და გფრ-ის ეკიპაჟები. ამასთან, სპეციალისტები ერთსულოვანი იყვნენ: გამარჯვებულები მართლაც ბრწყინვალედ გამოვიდნენ. ამ სერიაში II ადგილზე გასული ავსტრალიელები მათ 7,5 წამით ჩამორჩნენ.

ასევე პირველი ცდით მოიპოვა ფინალის საგზური ოთხადგილიანი მესაჭიანის საბჭოთა ეკიპაჟმა (მომსმელი ემინოვი). გამარჯვება მოპოვებულია მსოფლიო ნიჩბოსნობის ლიდერებთან — გდრ-ის სპორტსმენებთან. საბჭოთა ნავის უპირატესობა 5 წამს შეადგენდა.

სხვა კლასებში ნახევარფინალის საგზურის მოპოვებისთვის საკმარისია სერიაში პირველ სამეულში მოხვედრა. ოლიმპიური ჩემპიონები ორადგილიანი წყვილმოსასმელიანით ტიმოშინინი და კორშიკოვი 1500 მეტრის ნიშნამდე სათავეში ედგნენ რბოლას. მერე კი ტემპს უკლეს და ფინიშთან მესამენი მივიდნენ. რა საჭირო იყო „საიდუმლოს" ნაადრევად გამხელა?

საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ უმესაჭო და მესაჭიანი ორადგილიანი ნავების ეკიპაჟებს მოუხდათ გამოსვლა სანუგეშო სერიებში, მაგრამ წინასწარი სერიები მათაც წარმატებით გაიარეს.

სანამ დისტანციაზე ბრძოლა იყო გაჩაღებული, საერთაშორისო ფედერაციის წევრებმა გადაწყვიტეს 1978 წლის ჩემპიონატი ახალ ზელანდიაში ჩაატარონ. „თავისუფალ დღეს" კი ფედერაციის ხელმძღვანელები ათვალიერებდნენ... ნავებს. აკადემიური ნავების წარმოებაში პატარა რევოლუცია მოხდა; წესების თანახმად, ნებადართულია ნებისმიერი წონისა და ზომის ნავებით გამოსვლა. გაჩნდა ჩიბერგლასის ნავებიც, რომლებსაც უკეთესი თვისებები აქვს. სწორედ ასეთი ნავებით გამოდიან გდრ-ის, გფრ-ის, აშშ-ს სპორტსმენები.

რასაკვირველია, მხოლოდ სპეციალური გამოკვლევებით შეიძლება დადგინდეს, რა უპირატესობას აძლევს სპორტსმენს თანამედროვე მასალებისგან დამზადებული ნავები.

ოლიმპიური ტურნირი

II ჯგუფი

გათამაშების ცხრილები

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„განახლება"	21	15	4	2	39—16	34
„არაგ." (მც.)	19	15	2	2	75—30	32
„მადნეული"	21	12	5	4	54—33	29
„ფოლადი"	20	13	2	5	61—28	28
„ჩამომსხმ."	20	12	2	6	46—35	26
„პოლიტექ."	20	9	7	4	39—30	25
„არაგ." (დ.)	21	11	3	7	59—49	24
„განთიადი"	21	9	6	6	25—22	24
„სამცხე"	20	8	5	7	42—30	22
„სპარტ."	19	7	4	8	38—27	18
„მესხეთი"	20	7	3	10	33—37	17
„ალაზანი"	19	5	5	9	25—53	15
„ყინწვისი"	20	4	2	14	19—51	10
„ცისკარი"	21	2	3	16	25—65	7
„ჰერეთი"	21	2	3	16	27—74	7
„ქიმიკოსი"	21	1	4	16	16—43	6

შენიშვნა: „ჰერეთი" (ლაგოდეხი) გათამაშებიდან მოხსნილია. ვინაიდან გუნდს ჩატარებული აქვს თამაშების 50 პროცენტზე მეტი, მის დარჩენილ მოწინააღმდეგეებს ეწერებათ მოგება.

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლმეურნე"	18	15	1	2	38—17	31
„ენერგეტიკი"	18	13	1	4	46—20	27
„ჩიხურა"	18	10	6	2	35—13	26
„მექალაქე"	19	11	2	6	40—22	24
„ლაითური"	19	9	5	5	41—26	23
„ბახმარო"	18	8	6	4	28—18	22
„სულორი"	18	9	4	5	31—25	22
„მშენებ." ბ.	19	7	3	9	27—28	17
„სამგურალი"	18	3	6	9	26—39	12
„მზიური"	18	5	2	11	31—46	12
ხდკ	18	4	4	10	22—37	12
„დინამო"	18	3	5	10	20—40	11
„ნაკადული"	18	3	4	11	14—32	10
„მშენებ." ჭ.	17	1	3	13	19—55	5

3:2

დონეცკი, 28 აგვისტო. ადგილობრივმა „შახტიორმა" ამხანაგური მატჩი მოუგო თურქეთის „ტრაბზონსპორს" — 3:2 (2:0). გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ვაწკევიჩმა, სოკოლოვსკიმ და სტარუხინმა.

3:1

ოსლო, 28 აგვისტო. დღეს აქ შედგა ოლიმპიური შესარჩევი მატჩი ნორვეგიისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის.

საბჭოთა ოლიმპიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. პირველი ბურთი მე-5 წუთზე გაიტანა სახაროვმა, 2 წუთის შემდეგ კი ფიოდოროვმა მეორედ აიძულა ნორვეგიელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

მე-15 წუთზე მასპინძლებმა შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა, მაგრამ შესვენების შემდეგ სახაროვმა მესამედ აიღო ნორვეგიელთა კარი — 3:1.

საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: პროხოროვი, უტკინი, ზვიაგინცევი, ოსიანინი, ლოვჩევი, ბურიაკი, ტროშკინი, მაქსიმენკოვი, მინაევი, სახაროვი, ფიოდოროვი.

10 სექტემბერს სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები უმასპინძლებს ისლანდიის ნაკრებს, ხოლო 24 სექტემბერს — ნორვეგიელებს.

მდგომარეობა ამ ჯგუფში სადღეისოდ ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	2	2	0	0	5-1	4
ნორვეგია	3	1	1	1	5-6	3
ისლანდია	3	0	1	2	3-6	1

საბჭოთა გუნდები უცხოეთში

ჯაკარტა, 27 აგვისტო. ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად ინდონეზიას ესტუმრა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი". „დნეპრმა" ფრედ (2:2) ითამაშა მასპინძელი ქვეყნის ნაკრებთან, ასევე ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა ლისაბონის „ბენფიკასთან" და წააგო არგენტინის „როსარიოსთან" — 1:2.

სევილია (ესპანეთი), **28 აგვისტო.** აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში ადგილობრივმა „სევილიამ" ძირითადი და დამატებითი დროის ფრედ (0:0) დამთავრების შემდეგ პენალტებით აჯობა კიევის „დინამოს" — 5:4.

ახლა კიეველები III ადგილისთვის შეხვდებიან ბუდაპეშტის „ფერენცვაროშს", რომელსაც წლევანდელ სეზონში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში სძლიეს.

რაიონების სტადიონებიდან

კასპი

ორ თვემდე გაგრძელდა რაიონული ტურნირი სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. იამანიძის სახელობის გარდამავალ თასზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კასპის რაიკოოპერატივისა და სამთავისის კოლმეურნეობის გუნდები. მატჩის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 2:2. დამატებით დროში კასპელებმა ხელთ იგდეს უპირატესობა და კიდევ 3 ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში.

ლ. ელისაბედაშვილი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

მოკლედ

- **მელბურნი.** ავსტრალიაში შეიქმნა უმაღლესი ლიგა, რომელიც ამ ქვეყნის 12 გუნდს გააერთიანებს. აქ მანამდე ცალ-ცალკე ტარდებოდა მელბურნისა და სიდნეის ჩემპიონატები.
- **მეხიკო.** მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამით მექსიკის ნაკრებს განზრახული აქვს მოაწყოს ტურნე ევროპაში და შეხვდეს შვეციის, საფრანგეთის, თურქეთის, ჰოლანდიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს.
- **სოფია.** ბულგარეთის საფეხბურთო კავშირის ახალ პრეზიდენტად არჩეულია ი. ნიკოლოვი, ხოლო მის მოადგილეებად — ა. მლადენოვი და ს. ბოჟკოვი.

ბალტიის რეგატის ფინიში

ტალინი, 28 აგვისტო. ბალტიის XXVII აფროსანთა რეგატის პრიზები სულ სხვადასხვა მისამართით დანაწილდა: „სოლინგის" კლასში გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონმა, გდრ-ის სპორტსმენმა დ. ბელოვმა. ი. კისელიოვმა (რსფსრ-ს ნაკრები) ყველას აჯობა „ტემპესტის" კლასში. ვ. ტინეევი (მოსკოვი) უძლიერესი იყო „ურჩხულის" კლასში. „მფრინავი ჰოლანდიელებით" შეჯიბრებაში გაიმარჯვა გდრ-ის წარმომადგენელმა უ. შტაინგროსმა. კატამარან „ტორნადოთი" პირველობდა მოსკოველი ვ. დიაკინი, „ფინის" კლასში — მისი თანაქალაქელი ა. ბალაშოვი. ფრანგმა ჟ. ფონტენმა ყველას აჯობა „470"-ის კლასში.

მ. იზოვი.
(საკდესის კორ.).

საბერიოს სასროლეთზე

ამას წინათ დოსააფის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა ძალოვანი კვანძის დასახლების საბერიოს სასროლეთზე ჩაატარა ენგურჰესის მშენებლობის ფიზკულტურული კოლექტივების XI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირადი პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 8 ფიზკულტურული კოლექტივის 35 მსროლელი.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ ქალთა შორის 43 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა ე. პეტროვამ (ენგურჰესის სპეცმონტაჟმშენის სამმართველო). 37 ქულით II საპრიზო ადგილზე გავიდა ტ. ზიმინა (საბერიოს ძალოვანი კვანძის სამმართველო). III ადგილი წილად ხვდა ს. მეტრეველს (ენგურჰესის დირექცია) — 35.

ვაჟთა შორის 47 ქულით I ადგილი არავის დაუთმო ი. კოჩკოიანმა (ძალოვანი კვანძის სამმართველო). 46 ქულით მეორე იყო პ. კოვალენკო (ენგურსპეცმშენის სამმართველო), ხოლო III ადგილი 43 ქულით დაიკავა გ. გოგოხიამ (ენგურჰესის სატრანსპორტო განყოფილება).

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ დოსააფის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

გ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

თერთმეტი გუნდის მონაწილეობით

მარგანეცის № 8 ტრესტის შენობის დახურულ ტირში „კოლმეურნის" ჭიათურის საქალაქო საბჭომ ჩაატარა პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. სარბიელზე გამოვიდნენ 11 სოფლის მსროლელთა გუნდები.

პირად ჩათვლაში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა კაცხელმა კუპატაძემ. II და III ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ წირქვალელები გ. მაჭარაშვილი და ვ. გურული.

გუნდური გამარჯვება მოიპოვა სოფელ წირქვალის კოლმეურნეობის გუნდმა. II ადგილი კაცხელებს ხვდათ, ხოლო III — ქვაციხის სასოფლო საბჭოს წარმომადგენლებს.

გ. ბარჯაძე.

ჭიათურა.

კვლავ მოგება

ტიენტიშტში (იუგოსლავია) გრძელდება ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა. IX ტურში საბჭოთა ოსტატმა ვ. ჩეხოვმა დაამარცხა კანადელი პ. ნურმი, X ტურში გადადო პარტია დ. ბარლოვთან (იუგოსლავია). ახლა ჩეხოვს 7,5 ქულა აქვს, ბარლოვს კი — 7.

მჭიდრო წყობით

მილანის დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში VI ტურიდან გადადებული პარტიების დამთავრებისას ა. კარპოვმა (სსრ კავშირი) მოუგო ს. გლიგორიჩს (იუგოსლავია) და დაწინაურებულ კოლეგებს 4,5 ქულით სათავეში მოექცა. ყაიმით დამთავრდა ი. სმეიკალისა (ჩეხოსლოვაკია) და ლ. ლიუბოევიჩის (იუგოსლავია) შეხვედრა. ბ. ლარსენმა (დანია) მოუგო გლიგორიჩს V ტურიდან გადადებული პარტია.

VII ტურში კარპოვი დაუზავდა მ. ტალს (სსრ კავშირი). ყაიმს დასჯერდნენ, აგრეთვე, უ. ბრაუნი (აშშ) — ტ. პეტროსიანი (სსრ კავშირი), ლიუბოევიჩი — ლ. პორტიში (უნგრეთი), გლიგორიჩი — ს. მარიოტი (იტალია) და ვ. უნციკერი (გფრ) — სმეიკალი. ლარსენმა სძლია უ. ანდერსონს (შვეცია).

VIII ტურში ოთხი პარტია დამთავრდა. ტალმა მოუგო მარიოტის, პეტროსიანმა — გლიგორიჩს. ეს პეტროსიანის პირველი გამარჯვებაა ამ შეჯიბრებაში. პირველი მარცხი იწვნია ბრაუნმა, რომელმაც სმეიკალთან წააგო. პორტიშმა სძლია ლარსენს. გადაიდო პარტიები: კარპოვი — ანდერსონი და ლიუბოევიჩი — უნციკერი.

8 ტურის შემდეგ კარპოვს 5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, სმეიკალს, პორტიშს — 5-5, ლიუბოევიჩს — 4,5 (1), ტალს, პეტროსიანს, ბრაუნს — 4,5-4,5.

ტურნირის დამთავრებას სამი ტური აკლია.

ფინიში ჩელიაბინსკში

ჩელიაბინსკში დამთავრდა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მასობრივი შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 64 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ფინიში ერთად გადაკვეთეს ოსტატებმა ვ. დოროშკევიჩმა (გროზნო), ა. პანჩენკომ (ჩელიაბინსკი) და ი. დორფმანმა (ჟიტომირი) — 9-9 ქულა. კოეფიციენტთა ცხრილით დოროშკევიჩს უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა და I ადგილიც მას დარჩა. დოროშკევიჩმა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა. პანჩენკო, დორფმანი, აგრეთვე, ოსტატები მ. პოდგაეცი (ოდესა), ი. ივანოვი (დუშანბე), ნ. რაშკოვსკი (კურგანი) და გ. ტიმოშჩენკო (ნოვოსიბირსკი), რომლებმაც 8,5-8,5 ქულით IV-VII ადგილები გაიყვეს, პირველ ლიგაში ითამაშებენ.

წარუმატებლად გამოვიდნენ საქართველოს წარგზავნილები: ოსტატი ე. უბილავა, ოსტატობის კანდიდატები ზ. სტურუა და გ. კალატოზიშვილი.

საათები გააჩერეს

ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნოვოსიბირსკის ნახევარფინალში ფინალის საგზურები სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა მ. რანიკუმ (ტალინი) და ოსტატმა ნ. ტიტორენკომ (მოსკოვი) მოიპოვეს. ესტონელმა მოჭადრაკემ 8,5 ქულით I ადგილი დაიკავა, მოსკოველმა კი 8 ქულით — II ადგილი.

საგზურების ბედი დასკვნითმა, XI ტურმა გადაწყვიტა. ოსტატმა ლ. სემიონოვამ (კიევი), რომელიც ფინალში თამაშის კანდიდატი იყო, მოსკოველ ო. იგნატიევასთან წააგო და მას ტიტორენკომ გაუსწრო, რომელმაც რ. აუზინია (რიგა) დაამარცხა. სემიონოვამ 7,5 ქულით III ადგილი დაიკავა.

საუცხოოდ ითამაშა თბილისის ჩემპიონმა ნ. იოსელიანმა ლ. მაიოროვასთან (ლენინგრადი) და გაიმარჯვა. ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ვ. ტიმოშჩენკო (ნოვოსიბირსკი)—ა. დეხტიარი (კიევი) და რანიკუ — კოსტინა (მინსკი).

წინადღით გადადებული პარტიების დამთავრებისას დეხტიარმა დაამარცხა ტ. ანდრეევა (ფრუნზე), ს. ლაკიუნაიტემ (პანევეჟისი) — რანიკუ, იგნატიევა დაუზავდა მაიოროვას, იოსელიანი — დეხტიარს.

გთავაზობთ ტურნირის სხვა მონაწილეთა შედეგებს: IV. იოსელიანი — 7 ქულა, V. აუზინია — 6,5, VI. დეხტიარი — 6, VII-VIII. ლაკიუნაიტე, იგნატიევა — 5,5-5,5, IX. კოსტინა — 5, X. მაიოროვა — 4, XI. ტიმოშჩენკო — 2,5, XII. ანდრეევა — 0.

ო. თურქესტანიშვილი.
(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).
ნოვოსიბირსკი.

ჩიბურდანიძე ფინალში ითამაშებს

ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ვორონეჟის ნახევარფინალის ბოლოსწინა, X ტურში ლიდერებმა, ოსტატებმა ნ. მედიანიკოვამ (მოსკოვი) და მ. ჩიბურდანიძემ (თბილისი) პარტიები გადადეს. მოსკოველ მოჭადრაკეს უარესი პოზიცია ჰქონდა ნ. გასიუნასთან (უკრაინა), მაიას კი — მოსაგები მდგომარეობა ხ. კრუსიაუკთან (ესტონეთი). ოსტატმა ვ. ბორისენკომ (ტაშკენტი) მოუგო ო. ტიმაკოვას (რსფსრ), მ. სამულმა (ესტონეთი) — ი. როზენცვაიგს, ფოკინამ — ოსტატ ნ. ალიოხინას (სამივე — რსფსრ).

გადადებული პარტიების დამთავრებისას თბილისელმა მოჭადრაკემ მოუგო როზენცვაიგსა და კრუსიაუკს, 8 ქულა დააგროვა და ფინალში ვადამდე გავიდა. მართალია, მედიანიკოვა დამარცხდა გასიუნასთან და ბორისენკოს დაუზავდა, მაგრამ 7 ქულა საკმარისი აღმოჩნდა ფინალის საგზურის მოსაპოვებლად. დასკვნითი ტურის წინ მის უახლოეს კონკურენტებს როზენცვაიგს, კრუსიაუკს, ლ. სტოლნიკოვასა (მოსკოვი) და ფოკინას მხოლოდ 5,5-5,5 ქულა ჰქონდათ და მას ვეღარ დაეწეოდნენ.

ბოლო ტურში ლიდერებმა გაიმარჯვეს: ჩიბურდანიძემ მოუგო სტოლნიკოვას, მედიანიკოვამ — როზენცვაიგს. მაიას საბოლოოდ 9 ქულა დაუგროვდა, მედიანიკოვას — 8.

ამრიგად, მაია ჩიბურდანიძე მესამედ მიიღებს მონაწილეობას სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ფინალში, რომელსაც ამჯერად მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირის მნიშვნელობა აქვს.

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი.
(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).
ვორონეჟი.

ს უ რ ა თ ზ ე: მ. ჩიბურდანიძე.

ერთი საგზური ვადამდე გაიცა

ზაპოროჟიეში, ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში მოეწყო შეხვედრები ბოლო, XI ტურის წინ გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

IX ტურში დაუმთავრებელ პარტიაში ოსტატმა მულენკომ (ზაპოროჟიე) დაამარცხა კოსე (სამარყანდი), ხოლო ოსტატი ზატულოვსკაია (მოსკოვი) დაუზავდა ფომინას (ტალინი). X ტურიდან გადადებულ პარტიაში ოსტატმა ლიუბარსკაიამ (დონის როსტოვი) სძლია აბრიკოსოვას (ალმაათა), ყაიმით დამთავრდა რუჩიევა (სევასტოპოლი) — დონჩენკოს (მოსკოვი) შეხვედრა.

10 ტურის შემდეგ ფომინამ 8,5 ქულა მოაგროვა და ფინალში მიიღებს მონაწილეობას. ფინალის მეორე საგზურის კანდიდატები არიან ზატულოვსკაია, მოროზოვა (ლვოვი) — 7-7, ოსტატი კობაიძე (თბილისი), რუჩიევა და მულენკო — 6-6.

მ. თხელიძე.
(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).
ზაპოროჟიე.

თუ ბალაშოვმა მოიგო...

ვილნიუსში, მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში დასკვნითი, XV ტურის წინ დამთავრდა გადადებული პარტიები.

შედეგები ასეთია: ა. ბელიავსკი (ლვოვი) — რ. ხოლმოვი (მოსკოვის ოლქი) 1:0, ხოლმოვი — მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი) 0,5:0,5, რ. ვაგანიანი (ერევანი) — ი. ბალაშოვი 0:1, ბალაშოვი — ე. ვასიუკოვი (ორივე — მოსკოვი) 1:0, ვ. ცეშკოვსკი (ომსკი) — მ. დვორეცკი (მოსკოვი) 1:0, ო. რომანიშინი (ლვოვი) — ბ. გულკო (მოსკოვი) 0,5:0,5.

ვ. გუფელდს (თბილისი) ვ. სავონთან (ხარკოვი) მოსაგებ მდგომარეობაში მხედველობიდან გამორჩა პოზიციის სამჯერ გამეორება. არსებული წესით, სავონმა ყაიმი მოითხოვა და მსაჯმა დააკმაყოფილა იგი.

XV ტურში გულკო — ვაგანიანი, ცეშკოვსკი — ქ. გრიგორიანი, დ. ბრონშტეინი (ორივე — მოსკოვი) — რომანიშინი და დვორეცკი — ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) სწრაფად დაზავდნენ. გუფელდმა და ტაიმანოვმა დიდი ბრძოლა გააჩაღეს, მაგრამ ბოლოს ყაიმს დასჯერდნენ.

ვასიუკოვმა ლამაზად მოუგო ბელიავსკის, ხოლმოვმა კი — ლ. ალბურტს (ოდესა).

ბალაშოვ — სავონის შეხვედრა მძაფრ ბრძოლაში წარიმართა. ბოლოს იგი გადაიდო სავონისთვის უარეს მდგომარეობაში.

ახლა ამ პარტიის შედეგზეა დამოკიდებული, საჭირო იქნება თუ არა დამატებითი შეჯიბრების გამართვა საზონათაშორისო ტურნირის სამი საგზურის გასანაწილებლად. საქმე ისაა, რომ სავონს 9 ქულა აქვს, გულკომ და ცეშკოვსკიმაც ამდენივე ქულით დაამთავრეს ტურნირი, მაგრამ ბალაშოვს 8 ქულა დაუგროვდა და, სავონთან გამარჯვების შემთხვევაში, კოლეგებს დაეწევა. მაშინ დამატებითი მატჩ-ტურნირიც დაინიშნება.

გთავაზობთ სხვა მონაწილეთა შედეგებს: გუფელდი, ტაიმანოვი — 8,5-8,5, ბელიავსკი, ალბურტი, ხოლმოვი — 8-8, ვასიუკოვი — 7,5, ბრონშტეინი, ვაგანიანი — 7-7, ტუკმაკოვი, დვორეცკი — 6-6, რომანიშინი — 5, გრიგორიანი — 4,5.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის დოცენტი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მქონე — 1 ერთეული;

სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი (საექიმო კონტროლის სპეციალისტი), უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მქონე — 1 ერთეული.

სპორტული მედიცინის კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მქონე — 1 ერთეული.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე, 9-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49, ტელეფონები: 22-81-60, 23-09-02.

რექტორატი.

თბილისის სპორტული აფიშა

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 30 აგვისტო. „ისნის“ სტადიონი. „განთიადი“ (თბილისი) — „დინამო“ (სოხუმი). დასაწყისი 17 ს. 30 წთ. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული). 17 ს. 30 წთ. 31 აგვისტო. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური). 12 ს. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „იმერეთი“ (წულუკიძე). 12 ს. „ოქროს თავთავის“ თასი. ფინალური მატჩი. ასკ-ს სტადიონი. 30 აგვისტო. ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმი (მახარაძის რაიონი) — ველისციხის კოლმეურნეობა (გურჯაანის რაიონი). 17 ს.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)
[illegible]
31 აგვისტოს
საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა
„დინამო“ (თბილისი) — „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი)
დასაწყისი 19 ს.
ბილეთები გაიყიდება 30 აგვისტოს 12-დან 19 საათამდე, 31 აგვისტოს — 10 საათიდან.

მონაწილის შთაბეჭდილებები

1-14 აგვისტოს ზალაეგერსეგში (უნგრეთი) მიმდინარეობდა ახალგაზრდა (21 წლამდე) ოსტატთა საერთაშორისო ტურნირი, ანუ ჩ. ანტალის IV მემორიალი. აი, მისი შედეგები: I. გ. ზაიჩიკი (სსრ კავშირი) — 9,5 ქულა, II. ი. არმაში (რუმინეთი) — 8,5, III. ვ. ინკოვი (ბულგარეთი) — 8, IV. უ. ბიონში (გდრ) — 7,5, V. ი. ხორვატი — 7, VI. ლ. ჩერნა — 6,5, VII. ა. შნაიდერი (სამივე — უნგრეთი) — 5, VIII. ზ. ხვოინიცკი (პოლონეთი) — 4,5, IX. შ. ხორვატი — 3, X. დ. ფორგაჩი (ორივე — უნგრეთი) — 2,5, XI-XII. გ. ნაგელი (ავსტრია), ლ. როშტა (უნგრეთი) — 2-2.

გთავაზობთ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტის, მემორიალის მონაწილის, 18 წლის ოსტატ გ. ზაიჩიკის შთაბეჭდილებებს.

შეჯიბრების რეგლამენტი მეტად მკაცრი იყო: ვთამაშობდით ყოველდღიურად დილის საათებში, იმავე საღამოს გადადებულ პარტიებს ვამთავრებდით.

I ტურში შეჯიბრების ერთ-ერთ ძლიერ მონაწილეს, გერმანელ ოსტატ ბიონშს შევხვდი. თავიდან ბრძოლა თანაბარი იყო, მაგრამ შემდეგ მიტელშპილში შევცდი და პარტია უარეს პოზიციაში გადავდე. ფიგურაში ორი პაიკი მქონდა, თამაშის განახლებისას მოწინააღმდეგემ ცუდად ითამაშა და ეტიუდური გზით ყაიმს მივაღწიე. ეს პარტია ყველაზე გრძელი აღმოჩნდა: 85 სვლა გაკეთდა და 10 საათს გრძელდებოდა.

შემდეგ ორი პარტია მოვიგე. IV ტურში ბულგარელ ოსტატ ინკოვს დავუზავდი. ინკოვს, რუმინელ ოსტატ არმაშსა და მე 3-3 ქულა დაგვიგროვდა. მომდევნო ოთხ ტურში ყველა პარტია მოვიგე. აი, ერთი მათგანი:

ზაიჩიკი — ნაგელი

ძველინდური დაცვა

1. მf3 მf6 2. g3 g6 3. კg2 კg7 4. 0—0 0—0 5. c4 d6 6. d4 მc6 7. d5 მa5 8. მfd2 c5 9. მc3 a6 10. ლc2 ეb8 11. b3 b5 12. კb2 bc 13. bc კh6 14. f4 e5 15. de კ:e6 16. მd5 კg7 17. კc3 კ:d5 18. cd მd7 19. კ:g7 მფ:g7 20. ლc3+ მფg8 21. ეab1 ეb5 22. a4 ე:b1 23. ე:b1 f5 24. e4 ლc7 25. მf3 c4 26. მd4 მc5 27. ef მ:a4 28. ლe3 ლc5 29. მფh1 მb3 30. ლe6+ მფh8 31. ლe7 ეg8 32. მe6. შავები დანებდნენ.

გ. ზაიჩიკი.

ეს დისტანცია არმაშმაც ჩინებულად გაიარა — 3.5 ქულა დააგროვა. სამაგიეროდ, ინკოვი ჩამორჩა. მან მოულოდნელად წააგო უნგრელ შნაიდერთან: უკეთეს პოზიციაში მეტოქეს ეტლი დაუსვა.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთი იყო: მე 7 ქულა მქონდა, არმაშს — ნახევარი ქულით ნაკლები, ინკოვსა და ბიონშს — 5,5-5,5 ქულა.

IX ტურში ვეთამაშე უნგრელ ჩერნას, რომელმაც უკვე მე-8 სვლაზე ყაიმი შემომთავაზა. უარით ვუპასუხე, მაგრამ ათი სვლის შემდეგ, როცა მეტოქემ უკეთეს პოზიციაში კვლავ გაიმეორა თავისი წინადადება, დავეთანხმე.

ამასობაში არმაშმა ლამაზად მოუგო ბიონშს და ორივენი ლიდერები გავხდით.

და აი, ბოლოსწინა ტურში ერთმანეთს შევხვდით.

არმაშმა დებიუტში თეთრებით მცირე პოზიციური უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ თამაშის სწორ გეგმას ვერ მიაგნო, დაკარგა რამდენიმე ტემპი და ინიციატივა შავების ხელში გადავიდა. ენდშპილში შავების უპირატესობა ნათელი გახდა, რადგან მათი მხედარი ოპონენტზე გაცილებით აქტიური იყო.

ზაიჩიკი



არმაში

32. მფd3 h5 33. მფc4 a5 34. მd2 მd4 35. მფd3 მe6 36. b3 b5 37. ab cb 38. c4 b4 39. მფe3 მფc5 40. მფd3 g5 41. მფe3 gh 42. gh მფh6 43. მf1 მc5 44. მg3 მ:b3 45. მფd3 a4 46. მფc2 მd4+ 47. მფb1 a3 48. მ:h5 b3 თეთრები დანებდნენ.

როგორც კი პარტია დამთავრდა, მონაწილეებმა ტურნირში გამარჯვება მომილოცეს, თუმცა კიდევ ერთი ტური იყო დარჩენილი.

...პატარა ექსკურსი ტურნირის ისტორიაში — ტურნირი ტრადიციულია. იგი ცნობილი უნგრელი მოჭადრაკისა და პედაგოგის ჩუტი ანტალის ხსოვნას ეძღვნება. 1973 წლის ტურნირში პირველად მონაწილეობდა საბჭოთა ოსტატი მაკარიჩევი, რომელმაც 9 ქულით (11-დან) I ადგილი დაიკავა. მისი შედეგი მემორიალის რეკორდად მოინათლა.

ბოლო ტურის წინ მე 8,5 ქულა მქონდა და მოგებაზე ვთამაშობდი, რადგან რეკორდის მოხსნა განვიზრახე. მიზანს მივაღწიე: 9,5 ქულით I ადგილი დავიკავე. არმაში მხოლოდ ქულით ჩამომრჩა. III ადგილზე ინკოვი გავიდა.

უნგრეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენს შეჯიბრებას და ჩემი თამაში დადებითად შეაფასა.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ტურნირის ბრწყინვალე ორგანიზაცია. მონაწილენი ვცხოვრობდით ქალაქის საუკეთესო სასტუმროში, იქვე ვთამაშობდით კიდეც. ვიყავით ექსკურსიაზე ევროპაში ერთ-ერთ ულამაზეს ტბა ბალატონზე და უნგრეთის დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში.

ორიოდე სიტყვა ჩემს მეტოქეებზე.

ყველაზე ძლიერი მონაწილე ინკოვი იყო. წლოვანების (19 წლისაა) მიუხედავად, მან უკვე ითამაშა ჭაბუკთა და ვაჟთა ბევრ საერთაშორისო ტურნირში. 1973 წელს ჰოლანდიაში ევროპის პირველობაში IV ადგილი დაიკავა (პირველი იყო მაკარიჩევი). ამჟამად ინკოვი იუგოსლავიაში ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატში თამაშობს.

ოსტატები არმაში და ბიონში ერთნაირი სტილის მოჭადრაკეები არიან, უყვართ კომბინაციური თამაში, ჭადრაკის დაფაზე მხოლოდ მეტოქის მეფეს ხედავენ. მათ კარგად იციან თეორია, მაგრამ შედარებით სუსტად თამაშობენ ენდშპილს. ეს სამი მოჭადრაკე და ჩერნა სხვა მონაწილეებზე აშკარად ძლიერნი იყვნენ.

ჩემს წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის თბილისელ მწვრთნელს, ოსტატ ჯანოევს.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 02882